ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.№33 -ში (ს.კ.01.16.02.001.007) მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი

მუშა პროექტი

დაამუშავა:  /ლ. მექვაბიშვილი/

ქ. თბილისი 2021წ.

შინაარსი

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
5. უსაფრხოების ტექნიკა
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III – გამოყენებული ლიტერატურა

IV – სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

გრაფიკული ნაწილი (მოპ-1)

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
   – მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
   – აზომვითი ნახაზები;

ბ. პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოს, მთლიანად ტერიტორიისა და მიმდებარე ქუჩების დათვალიერება დაშლის პირობების შესწავლითა და გაანალიზებით.

ც. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია

წინამდებარე ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ც.დადიანის ქუჩა 33-ში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციას. უბანი განთავსებულია ნაძალადევის ადმინისტრაციულ რაიონში.

ნაკვეთს, რომელიც განლაგებულია № 01.16.02.001.007 საკადასტრო ერთეულზე, დასავლეთის მხრიდან ც. დადიანის ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან ზაქრაძის ქუჩა, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საცხოვრებელი სახლები და მათი ეზოები.

ტერიტორიაზე ამჟამად 14 ძველი შენობა-ნაგებობაა, რომლებიც უნდა იყვნენ დემონტირებულნი და მათ ადგილზე უნდა აიგოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

უბანი ტექნოგენურ რელიეფზეა განთავსებული, უბნის აბსოლუტური ნიშნულები 437.0-დან – 445.0 მ-ის ფარგლებში იცვლება.

ნაკვეთს, რომლის ფართობია საკადასტრო რუქის მიხედვით 2113,00მ^2, მართკუთხედთან მიახლოვებული ფორმა აქვს.

შენობა საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული 1/2 :

ე.წ. "იტალიური ეზო"-ს ტიპის ორსართულიანი ნაგებობა. შენობას აგებულია აგურით, სართულშუა გადახურვა ხის, სახურავი ქანობიანი – ხის სანივნივე სისტემა, დახურული ლითონის ფურცლებით.

კარ-ფანჯრები – ხის.

შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან – 8,80 მეტრია. პირველი სართულის სიმაღლეა 4,00 მეტრი, მეორე სართულის კი – 3,50 მეტრი.

შენობა №1/2-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

I სართულის საერთო ფართი - 334,34მ2

II სართულის საერთო ფართი - 381,34მ2

სულ: 715,68მ2

შენობა საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული 2/2 :

ორსართულიანი აგურით ნაშენი საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობაა. გეგმაში ის ტეხილი კონფიგურაციისაა, მაქსიმალური ზომებით 9,04X18,40 მეტრი
სართულშუა გადახურვა – ხის, სახურავი ქანობიანი - ხის სანივნივე სისტემა, დახურული ლითონით. კარ-ფანჯრების შევსება – ხის. პირველი სართულის სიმაღლე 3,35 მეტრია, მეორე სართულის – 3,25 მეტრია. შენობის სიმაღლე მიწის ნიშნულიდან – 7,90 მეტრია.

შენობა №1/2-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:
I სართულის სადემონტაჟო ფართი – 121,70მ2
II სართულის სადემონტაჟო ფართი – 166,34 მ2
სადემონტაჟო გარე კიბეების ფართი – 18,30 მ2
სულ: 306,34მ2

შენობა საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული 8/2 :

ორსართულიანი აგურით ნაშენი საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობაა. გეგმაში ის ტეხილი კონფიგურაციისაა.
სართულშუა გადახურვა – ხის, სახურავი ქანობიანი - ხის სანივნივე სისტემა, დახურული ლითონით. კარ-ფანჯრების შევსება – ხის. პირველი სართულის სიმაღლე 3,0 მეტრია, მეორე სართულის – 3,0 მეტრია. შენობის სიმაღლე მიწის ნიშნულიდან – 8,39 მეტრია.

შენობა №8/2-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:
I სართულის სადემონტაჟო ფართი – 190,96მ2
II სართულის სადემონტაჟო ფართი – 163,47 მ2
სადემონტაჟო გარე კიბის ფართი – 18,10 მ2
სულ: 372,53მ2

დანარჩენი შენობა-ნაგებობები ერთსართულიანი ბარაკის ტიპის ერთსართულიანი ნაგებობებია:
შენობა №3/1: ზომებით გეგმაში 1,89X0,86მ, სადემონტაჟო ფართი 1,6მ^2
შენობა №4/1: ზომებით გეგმაში 4,58X2,93მ, სადემონტაჟო ფართი 14,4მ^2
შენობა №5/1: ზომებით გეგმაში 5,89X2,4მ, სადემონტაჟო ფართი 14,14მ^2
შენობა №6/1: ზომებით გეგმაში 1,60X4,88მ, სადემონტაჟო ფართი 7,8მ^2
შენობა №7/1: ზომებით გეგმაში 11,48X3,46მ, სადემონტაჟო ფართი 39,72მ^2
შენობა №09/1: ზომებით გეგმაში 8,0X3,30მ, სადემონტაჟო ფართი 26,4მ^2
შენობა №10/1: ზომებით გეგმაში 1,00X1,28მ, სადემონტაჟო ფართი 1,28მ^2
შენობა №11/1: ზომებით გეგმაში 3,40X8,80მ, სადემონტაჟო ფართი 25,28მ^2
სადემონტაჟო კიბის ფართი – 8,3 მ^2
შენობა №12/1: ზომებით გეგმაში 5,93X4,64მ, სადემონტაჟო ფართი 27,52მ^2
შენობა №13/1: ზომებით გეგმაში 11,60X1,45მ, სადემონტაჟო ფართი 15,63მ^2
შენობა №14/1: ზომებით გეგმაში 3,80X0,92მ, სადემონტაჟო ფართი 4,25მ^2

3. სამშაოთა წარმოების წესები და მეთოდები.

სადემონტაჟო ნაგებობების დაშლამდე აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.
შენობების დაშლა ხდება სამონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობის საპირისპიროდ, ე.ი. ზემოდან ქვევით.

ა. ხდება სახურავების კონსტრუქციების დემონტაჟი.
ბ. იხსნება შენობების პარაპეტი.
გ. შიდა კედლებზე ეწყობა ხის ხარაჩოები ჭერის და კედლების დასაშლელად.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება მოხდება ხელით სანგრევი ჩაქუჩის მეშვეობით,რათა იყოს გამორიცხული მომიჯნავე ნაკვეთებზე განთავსებული შენობების დაზიანება, შემდეგ სამშენებლო ნაგვის მოგროვებით ექსკავატორის ბულდოზერის ფარით მეშვეობით.

4. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

იმის გამო, რომ სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, მშენებლობის ხანგრძლივობას ვნიშნავთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით – 3 თვე, მათ შორის 5 დღე – მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ხის ღობით და სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის მოწყობა.

5. უსაფრთხოების ტექნიკა.

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.
2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
3. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა СНиП-III-4-80 თავის “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.
4. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაიშვება ინჟინრების ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ასეთი სახის სამუშაოების ჩატარების.
5. მუშა-მოსამსახურე პერსონალი დაიშვება სამუშაოდ მხოლოდ 18წ. ასაკიდან.
6. სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
7. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებამდე და მათი მსვლელობის დროს შენობა და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყვნენ შემოწმებულნი მდგრადობაზე, თუ ხდება აუცილებელი, სპეციალისტი, რომელიც თვალს ადევნებს სადემონტაჟო პროცესს, იღებს გადაწყვეტილებას მათი

გამაგრების დროებითი საყრდენების მეშვეობით ან მიწის უკუჩაყრით და ა.შ.

8. სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობის დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის მდგომარეობას, სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 10მ/წმ.
9. აკრძალულია სადემონტაჟო შენობის სარდაფში ან სხვა სათავსოში ყოფნა, თუ ზემოთ დაგროვილია სამშენებლო ნაგავი.
10. დასანგრევ შენობაში დაუშვებელია სამუშაო და საყოფასხოვრებო ნაგებობების განთავსება.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი.

ა. სამუშაოების დაწყება დაიშვება არქიტექტურული სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

დ. სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდეს დახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
1.	ექსკავატორი ბულდოზერის ფარით		1
2.	"ბოლგარკის" ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	20
3.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპლ.	20
4.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	2
5.	სანგრევი ჩაქუჩი	–	4
6.	ავტოგენური საჭრელი აპარატი	კომპლ.	4
7.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადასხვა	2
8.	ჩასაბმელი სამარჯვეები	კომპლ.	4

9.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	10
10.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2X2 (H)	ცალი	2
11.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	ნპ-4602	2
12.	პერფორატორები	პ-47	2
13.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ტპ-66ე	4
14.	ვიბროსამსხვრევი	ც-47614	2
15.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	2
16.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	–	3
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი.			

III – გამოყენებული ლიტერატურა

СНиП III-4-80 Техника безопасности в строительстве
СНиП 3-02-01-87 Земляные сооружения
СНиП 3-01-01-85 Организация строительного производства
СНиП РН-73 Расчетные нормативы

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე															II თვე															III თვე											
	2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	28	31	2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	28	30	2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	28	31
მოსამზადებელი სამუშაოები,რომლებიც არიან დაკავშირებულნი სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან.	2																																										
არსებული სახურავების დაშლა				8																																							
შენობების მიწისზედა ნაწილების დაშლა																				6	1																								
შენობების საძირკვლების დემონტაჟი																																								1	9				
სამშენებლო ნაგვის გატანა																																												

დაამუშავა ლ.მექვაბიშვილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების რუკა

ქ. ბათუმი, ა. წერეთლის ქუჩა

ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 05.16.02.001.007

ნაკვეთის ფართობი 0.0443 ჰა

ნაკვეთის ზონა: ქალაქის ცენტრალური ზონა

ნაკვეთის ინდექსი: 3ქც

ნაკვეთის ფუნქციური ზონირების რეგლამენტი

ნაკვეთის ფუნქციური ზონირების რეგლამენტი

ნაკვეთის ფუნქციური ზონირების რეგლამენტი

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს ალფა პროჯექტ ჯორჯია

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
Alpha Project Georgia LTD

ს/კ 406068758 I/C 406068758

ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის №57ა, კორ. 3; ბ. 24
57a, Cholokashvili Str., Block #3, Flat#24, Tbilisi, Georgia

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის დემონტაჟისა და მათ მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთზეგავლენის შესახებ

2021 წლის 17 ოქტომდერს შპს „საქართველო-ისრაელის დეველოპერული კომპანია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია"-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის დემონტაჟისა და მათ მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთზეგავლენის საკითხი

დამკვეთის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

- ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი „pdf” ვერსიაში
- ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი „PLN” და „pdf” ფაილები.
- ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი „pdf” ფორმატში.
- შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (საანგარიშო კომპლექსი **LIRA SAPR2013** ფაილი სახელით **DADIANI.sapr**).
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც დამუშავებული იქნა 2021 წელს. შ.პ.ს. „გენგეო“-ს ჯგუფის მიერ

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება.

საკვლევი უბანი საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

სადემონტაჟო და მომიჯნავედ არსებული შენობების კვლევისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები და ინსტრუქციები:

მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ 1992 წ-ს დამტკიცებული ინსტრუქცია „ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“.

СП-13.102-2003. „შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები. ახალი საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილის კვლევისას გამოყენებული იქნა საქართველოში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

- პნ. 01.05-08 „ საამშენებლო კლიმატოლოგია“
- პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა’’
- (СНиП II-7-81* Строительство в сейсмических районах)
- პნ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები’’
- СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»
- СНиП 2.02.03-85 Свайные фундаменты.

სადემონტაჟო შენობების მოკლე კონსტრუქციული აღწერა

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და დამკვეთის მიერ მოწოდებული ფოტომასალის თანახმად ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ

(ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მდებარე სადემონტაჟო შენობები აშენებულია გასულ საუკუნეში. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ც. დადიანის ქუჩა, აღმოსავლეთის მხრიდან ზაქრაძის ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს საცხოვრებელი სახლები. (ს/კ 01.16.02.001.002; ს/კ 01.16.02.001.004; ს/კ 01.16.02.001.005; ს/კ 01.16.02.001.008;) ფოტო-1.



ფოტო-1

ამჟამად საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებულია 14 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომლის დემონტაჟიც უნდა განხორციელდეს და მათ ნაცვლად აშენდება მრავალფუნქციური კომპლექსი.

სადემონტაჟო ორ სართულიანი შენობა, რომელიც საკადასტრო გეგმაზე არნიშნულია1/2-ით გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა. შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 8.80მ-ს. ირველი სართულის სიმაღლე 4.0მ-ია, ხოლო მეორე სართულის კი3.50მ. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის გრძივი და განივი კედლების ერთობლიობა, რომლების შესრულებულია აგურის კომპლექსური წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. კედლების სისქე შეადგენს 51 სმ-ს. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, იატაკის და სახურავის მზიდი კონსტრუქციებიც აგრეთვე შესრულებულია ხის მასალისგან. სართულების სასხვენო

გადახურვა მოწყობილია ხის მასალისაგან. სახურავი განხორციელებულია თუნუქის ფურცლების გამოყენებით ხის ნივნივებზე.

სადემონტაჟო ორ სართულიანი შენობა, რომელიც საკადასტრო გეგმაზე აღნიშნულია2/2-ით გეგმაში რთული მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები 9.04X18.40მ-ია. შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 7.90მ-ს. პირველი სართულის სიმაღლე 3.35მ-ია, ხოლო მეორე სართულის კი3.25მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლებიანია რომელიც შესრულებულია აგურის კომპლექსური წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. კედლების სისქე შეადგენს 53 სმ-ს. საძირკვლის ტიპი ლენტურია და ეფუძნება თიხოვან გრუნტებს სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, იატაკის და სახურავის მზიდი კონსტრუქციებიც აგრეთვე შესრულებულია ხის მასალისგან. სართულების სასხვენო გადახურვა მოწყობილია ხის მასალისაგან. სახურავი განხორციელებულია თუნუქის ფურცლების გამოყენებით ხის ნივნივებზე.

სადემონტაჟო ორ სართულიანი შენობა, რომელიც საკადასტრო გეგმაზე აღნიშნულია8/2-ით გეგმაში რთული მოხაზულობისაა. შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 8.39მ-ს. პირველი და მეორე სართულის სიმაღლე 3.00მ-ია. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლებიანია რომელიც შესრულებულია აგურის კომპლექსური წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. კედლების სისქე შეადგენს 58 სმ-ს. საძირკვლის ტიპი ლენტურია და ეფუძნება თიხოვან გრუნტებს სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, სახურავი ორქანობიანია და შესრულებულია ხის ნივნივების მეშვეობით. ბურული განხორციელებულია თუნუქის ფურცლების მეშვეობით.

დანარჩენი სადემონტაჟი შენობა-ნაგებობები:№3/1; №4/1; №5/1; №6/1; №7/1; №09/1; №10/1; №11/1; №12/1; №13/1; №14/1; წარმოადგენს ე.წ „ბარაკის“ ტიპის შენობებს.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო ზემოთ აღწერილიშენობები ტექნიკური თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მას გააჩნია გრძივი და განივი ბზარები, რომელიც გამოწვეულია ჯდენითი და სხვა სახის ზემოქმედებისაგან.

ჩვენს მიერ განხილული იქნა სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის როექტი, რომელშიც დეტალურად არის ასახული სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები, უსაფრთხოების ღონისძიებები, გარემოს დაცვის ღონისძიებები და ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი.

ძირითადი დასკვნები

ზემოთ აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა:

ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.#33-ში არსებულ (ს/კ01.16.02.001.007) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნადგებობების ზიდვის უნარსა და მდგრადობაზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: /ტ. ზაკუტაშვილი/

შპს "ალფა პროჯექტ ჯორჯია"
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
მობ. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de

Scanned with CamScanner